




კვირა, 20 აპრილი

ფანი 10 კ.

№ 7.—1914 წ.



დღეს, 20 აპრილს
მამადავითის ტაძარში
დანიშნულია

დიმიტრი ყიფიანის
სულის მოსახსენებელი
წირვა-პანაშვილი 10-12 ს.

დიდებული მამულიშვილი და სამშობლოს მოამაგე
დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი
მისი დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო



1. სცენაზე და სცენის გარედ, მუთაური 1
2. ამპოლა, შაფა დადიანის 1
2. კ. დ. ბალომონტს, ხნაფ უფიანის 3
4. * * * (ლექსი), კაცო მიქელაძის 3
5. მინიატიურები, დ. თურდოსშირელის 3
6. დელი, ძაძებს ნუ ჩიკვაძე, ე. ადლიაშვილის 4
7. ვალენტინ სეროვი (სურ.) დ. კალასნიის 5
8. საფრანგეთის ლირიკა, ტ. ტაბაიის 8
9. სახ. თეატრის მოღ.—ს. რომანიშვილი 7
10. ლიმილი (ლექსები) კ. ჭიჭინაძის 8
11. სინათლე, (დასას.) ი. გუდუაშვილის 8
12. მთივლის ალიანსი, გ—უ—ის 12
13. ჩვენი თეატრი ვადასაკეთებელია, მუთ-სა 14
14. საგარეჯოს თეატრი, ტაფელაძის 15
15. ყარსის წარმოდგენა, დ. ვაზრუაშვილის 15
16. წერილი ამბები. 16
17. რეცენზენტის ასეთი უნდა! ჭიტასი 16
18. წერ. რედაქ. მიმართ, გ. ფარადაშვილის 16



ქართული თეატრი

დღეს, კვირას, 20 აპრილს

ქართ. დრამ. დასის მიერ წარ. იქნება
ოტელიო თარგ. ივ. მაჩაბელი-
სა ფსები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღ. 8¹/₂ საათზე.

რეჟ. შალიკაშვილი
ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზ-სა.

ოთხშაბათს, 23 აპრილს

ი. გრიშაშვილის სააღამო

ხუთი განყოფილებით: I, ლექცია (გერ. ქიქოძე წაიკითხავს „პოეზია და სინამდვილე“); II, ქართული ოპერეტა; III, დივერტის-მენტი; IV, ცოცხალი სურათები; V, საკონცერტო განყოფილება.
ფსები ჩვეულებრივია. დასაწყ. 8¹/₂ ს.

ქართული თეატრი

ორშაბათს, 21 აპრილს, 1914 წ.

იშვითა და საინტერესო საღამოს გამართავს
მათე იანჭოშვილი

შემდეგის პროგრამით:

I გან. ლექცია

მეთოდური და უმეთოდო ტელეგრაფის

შესახებ. წაიკითხავს **მათე იანჭოშვილი** ზოგიერთა მანქანათა აღნიშნ.

II განყ.

ზირველად წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური ტრანსფორმატორული კომპლავა

ბაჭყალიშვილი აღმოკვასტი

თხულებმა მათე იანჭოშვილისა.

ამ პიესაში ყველა მოქმედ პირთა როლებს შეასრულებს თვით ავტორი, რომელიც 15-ჯერ იცვლის ტანისამოსს და გრიმს, თან სხვადასხვა სამუსიკო საკრავებზე დაუკრავს, იმღერებს და იცეკვავებს.

III განყ.

1. დეკლამაცია, 2. სცენები, 3. უსიტყვო სცენა, 4. საილუმო მუსიკა, 5. უბნელისი მუსიკა ანუ ლექსური ზურგზე ცეკვით.

ყველა ამებებს შეასრულებს მათე იანჭოშვილი.
დასაწყისი საღამოს 8¹/₂ საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 23 აპრილს, 1914 წ.

გაიმართება

სალომეის უკო დილა

I განყ.

ბ-ნ **სამ. დადიანი** წაიკითხავს ლექციას:

„სამოგადომოშიეი აზრები მე-XIX საუკ.“

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში

(აქ. წერეთელი და რ. ერისთავი)

II განყ.

გაიმართება კამათი ქართულ თეატრის შესახებ, საკამათოდ მოწვეულნი არიან: **ივ. გომართელი**, **გ. გორდეზიანი**, **კ. აბაშიძე**, **იბ. ვართაგავა**, **გ. შორ-დანი**, **არ. ჯუჯანაშვილი**, **ივ. ჩერქეზიშვილი**, **შ. ქართველიშვილი**, **მ. ქორიძე**, **გ. შალიკაშვილი**.

ს. დადიანი და სხვანი

დასაწყისი ს. 8¹/₂ ს.

ბილეთები იყიდება კასაში—5 კ.—50 კ-მდე.

გამგე **ი. ივანიძე**



№ 7

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ღრ. სახ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (ს. სტამბაში). მისამართი: **თფლისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოს. იმედაშვილი.**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 7

კ ვ ი რ ა, 20 ა პ რ ი ლ ი

1914 წ.

ბაკილი.

სცენაზე და სცენაზე მეფე, სცენის გარედ გლახა, — აი ჯერ კიდევ ვინ სცენის გარედ. არის ქართველი მსახიობი, საკუთარ პიროვნებას მოკლებული, სალაღობოდ გარდაქმნილი!..

იგი ხშირად გვაფრთოვანებს სცენიდან, ზეგვიტაცებს, მის წინ მუხლთ ეიდრეკთ, ხოლო როდესაც გრძის ჩამოიძლის, ის ჩვენთვის თითქმის აღარ არის, არც-კი ვამჩნევთ, მის ჰიროსა და ლხინს არც კი ვძიობთ...

ქართველმა მსახიობამ მშობელი ერის გასათვითცნობიერებლად იმდენი ვაკეთა, რომ მის ქურუმს — მსახიობს — უფლება აქვს მოითხოვოს პატივით მოეპყრან და მის ხმას ანგარიში გაუწიონ...

მაგრამ ერთია საკითხავი: ვანა შეიძლება პატივისცემით მოეპყრან იმას, რომელიც თვითონ თავის თავს არ სცემს პატივს, თვითონ არ აფასებს თავის თავს?!

არა და არა!..


არა ერთ გზის გვიტყვამს, რომ თუ სხვა — გაბატონებულ ანუ თავისუფალ ერთა — სცენებზე მსახიობს შეუძლიან მხოლოდ რაფის გამსახიერებელი იყოს, ჩვენისთანა ბედში მყოფ ერის მსახიობი იმავე დროს შეგნებულ მოქალაქე — მოღვაწე უნდა იყოს, თანამემამულეთა ზნეობრივი სარკე, მწვრთნელ-აღმზრდელი!..

და როდის ვახდებთ ასეთი, თურასაც სცენიდან თვით რაფში გვასწავლის, აგრეთვე მასწავლებელი თუ არა — სწენიდან ნაყინსავე მოძღვრების დამცველი — ყოველგვარ უკეთურების დამთურგნელი, უმალეს მისწრაფებათა მხარად მიმდევარი — მაინც არ იქნება?!..

და როდესაც ჩვენი მსახიობი შეგნებუ-

ლად მოეპყრობა თვის წოდება — დანიშნულებას, მხოლოდ მაშინ ვაძიებთ იგი ნამდვილი აღმზრდელი ჩვენი და მის სიტყვა-მოქმედებას სცენის გარედ ანგარიში გაუწევა!..

მაშ, ქართველო მსახიობო, განიწმინდე თავი თვისი მანკიერებათაგან, თუ კი ასეთი მოგეპოვება, იცან თავი თვისი, თვითვე შეგნებით მოებატორნე თავსა შენსა და იმდაწესებულეებს, რომელსაც მსახურებ, და დღეს უპიროვნო მანქანად, სამადლო საცხებავად გადაქცეულს, ხვალ, სრულ მოაზრე-მოქალაქედ გარდაქმნილს, სხვანაც მოწიწებით პატივს გცემენ, ანგარიშს გაგიწევენ, როგორც საზოგადოების ქემპარტ მწვრთნელ-აღმზრდელს!..



ა მ კ ლ უ ა

როგორც ვიცით, დღემდე სცენაზე საზოგადოთ მსახიობთ ამგვარად ანაწილებდნენ: ეს მთარსიყე რაღების აღმასრულებელია, ეს გმირია, ეს რეჟონორი — დარბაისელ და ღინჯ ტიპთ განმასახიერებელი, ეს კომიკი, ეს ტრაგიკი და სხვად-სხვა. ასეთ განსაზღვრას ხასიათთა კი ეწოდა ამჟამად.

ამ წესს ადგა დიდი ხანია მსახიობა და ჯერაც თეატრის ასეთი შემოფარგვლისათვის თავი ვერ დაუღწევია. თვით მსახიობნიც და საქმის ხელმძღვანელები ამჟამად აქცევდნენ და აქცევენ ყურადღებას. ეგ ერთგვარი საზომიკია, როდესაც ხელშეკრულება იდება სცენის მოღვაწეთ შორის. კომერციული მხრით მსახიობთა ცხოვრებაში ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ამჟამად ჯობის ერთი

თავი მუღამ ჯიბეს ურტყამს. უფრო მეტი გასავალი და მოწონება აქვს მთარსიყე როლეზის და გვირგების მოთამაშეს. ამიტომაც უფრო ხშირად მსახიობთა შორის ბრალდანი და უბრალო ამ ამბლუას ეტანება. კარგი სარგვინია კომიკობაც. ეს მამაკაცებში. ქალთა შორის ახალგაზდა დრამატულ როლეზის აღმასრულე ბელია ფასში, „ვრან კოკეტ“-საც არა უშავსრა. დანარჩენი ამბლუა-კი ორიე სქესთა შორის ისე მდლიანი არ არის. „ჟენ-პრემიერი“ ვაჟი ე. ი. „პირველი ახალგაზდა“ და „ჟენ-პრემიერი“ ქალი. ესაა თავიდათავე. როგორც ხედავთ, ეს სულ ფრანგული სიტყვებია და ვერ ვიტყვი, რომ ცოტაოდნად ეს სახელწოდებანი დამპტირებელი არ იყვეს მსახიობის პიროვნებისა. „პირველი მოსაყვარლე“, „დიდათ მოკობტავე“ და სხვ. მაინცადამაინც ვერაფერი სახელეზია და დღევანდელ თეატრს, ჩემის ფიქრით, არც ეკადრება, რადგან მნიშვნელობაც ამ სახელწოდებათ, კარგად რომ ჩავუკვირდეთ, დაკარგულიცა აქვს. ასეთი წეს-რიგე-კი, მე მგონი, ნარჩენია იმ ძველი დროისა, როდესაც ევროპაში თეატრი ან სასახლო იყო, ან რომელიმე კერძო მებატონის და, როდესაც პიესებიც ისე იწერებოდა, რომ სცენაზე სწორედ ეს „საყვარლები“, „მოკობტავენი“ ან „გმირები“ იყვნენ გამოსახულნი. შინაარსიც პიესებისა პირდაპირი იყო და უფრო ტლანქი—თუ იყო ავაზაკი გამოსახული, ყოველივე სიავაზაკე და სიავგლაზე სჭირდა ასეთ პირს; თუ იყო გმირი—ყოველივე სათნოება მისი შემკობელი იყო. თვით გრიმიც-კი გამოამუშავდა ასეთ პიროვნებათა გამოსახავად: ავაზაკი და ბოროტი ან შავი უნდა ყოფილიყო უკუმეთ ღამესავით ან წითელი, წითელი ცეცხლის ალივით, ხოლო სათნოანი და კეთილი თეთრი და ქერა ანველოზივით. ამბლუას ტერმინოლოგიაც მაშინ გამოამუშავდა და ვერ იქმნა, დღესაც; ვერ უხსნია თავი თეატრს და განსაკუთრებით მსახიობს ასეთი შემომზღუდვისავან. ეს ასე ხდებოდა დრამაში, ასე ხდება ოპერაშიც, მაგრამ თვით ოპერაშიაც შეინგრა კედელი „რუტინისა“. აქამდე ოპერაში ტენორი უფრო ფასდებოდა, შემდეგ ბარიტონი და ბოლოს ბანი, ვიხმაროთ ძველი სიტყვა—, „დერიანი“ (ბასი). მაგრამ ჩვენის თვალთ ვხედავთ, რომ მაგ. რუსეთში დღეს-დღეობით შალიაპი-

ნისთანა დაფსება და მოწონებაც არც ერთ ტენორსა და ბარიტონს არ აქვს, თითქოს ტიტანურმა ნიქმა შალიაპინისამ ხალხი გამოაფხიზლა და დააჯგრა, რომ საქმე ამბლუაზე-კი არ არის, არამედ ნიქს და უნარზეა. მადლობა ღმერთს, ახლა შალიაპინი გამონაკლს აღარ შეადგენს. თვით ევროპაშიც ყურადღება ექცევა ამ უნარიაზობას. მაშასადამე ისპობა დღენი ამბლუასი, რადგან ახლა დრამაშიაც, მაგ. საფრანგეთში, ერთ საუკეთესო მსახიობად ითვლება განთქმულ რეისორის ანტუანის მარჯვენა ხელი, დარექტორი მისივე თეატრისა ჟამე. ეს ჟამე სწორედ თანამედროვე თეატრის მსახიობია. მას ვერც ერთ ძველებურ ამბლუას ვერ აკუთვნებთ. ის ერთგვარის ნიქიერებით ასრულეზს ახალგაზდების როლს, მოხუცების როლს, საყვარლების, გმირების, დინჯების და სხვ. სახასიათო სათევვარებს.

სახასიათო როლები!

აი რა სიტყვა წამომცდა. ძველის ტერმინოლოგიით ესეც ხომ ერთ-ერთი ამბლუათავანია და... ეს ამბლუაც საპატოიდ ითვლებოდა, მაგრამ „პირველ საყვარელს თუ მოსაყვარელს“ მაინც ვერ უღრიდა.

ჩემის ფიქრით კი ეს ამბლუა არ უნდა იყვეს, ერთი ნაწილი თუ დარგი სამსახიობო ხელოვნებისა, არამედ ვგ უნდა იყვეს თვით მთავარი სახელწოდება მსახიობთა ნაშრომისა. ყველა მსახიობი სახასიათო როლების აღმასრულელებელი უნდა იყვეს და ეს უნდა იქმნეს კიდევ ნიშანდობლივი თვისება მსახიობისა. უფრო დაწვრილებით: მსახიობის ხელოვნება რა არის?—ასრულება სახასიათო როლებისა, რადგან ყველა ეს მოსაყვარლენი, დინჯები და ქარაფუტები, კეთილშობილნი მამანი და დაავადყუფებული ახალგაზდანი სახასიათონი არიან.

მაშ ამბლუას თუ გავუქმებთ რალა უნდა იყოს ჩვენი საზომიო?—კითხავს ბეერი.—მაშინ ხომ რეისორის როლების დანაწილებაში დავთარი აერევა და ამ თვორიას თუ მიეყვეთ, კომიქს ტრავიკულ როლს მისცემს „მთარშავეს“, „რეზონორებში“ გადიყვანს და სხვ.

არ მოხდება ესენი არც ერთი.

ამაზე დაწვრილებით შემდეგ ნომერში...

შუკრატისა

პ. დ. გალმონსტ

მინიატიურები

იქნებ იკითხო, რათა სდუმდა ქართველი ქალი იმ შენს მეგლისზე? შენ ხარ ნაწილი და მასთან დიდიც იმა მთელისა, რომლის კალთებზე ქვეშ შეაფარა მან თავი თვისი და რომელიცა დღეს უღმერთოდ მას გულს უღარავს, უტყებს მას ნებას, უხშობს გონებას და ვით გეგონოს, რომ მას არ ჰქონდა შენთვის სათქმელი გარდა იმისა, რომ მოგსალმებოდა და ეძღვნა შენთვის წითელ-ყვავილი? არა, მგოსანო, სასიქადულო თანაბრად ყველას! ქართველი ქალი შენ ბევრს გეტყობდა... მაგრამ ისეთს კი, რის გაგონებაც შენსა პოეტურ, გრძობიერ გულსა აატირებდა, ღვთიური მადლით მირონ-ცხებულ შუბლს მოგიტყუებინა და ეს ყველა-კი შეჰლახავდა მასში დარჩენილ სტუმართ-მოყვარულ წმიდა გრძობას!

აი რათ სდუმდა ქართველი ქალი იმ შენს მეგლისზე და იმის ნაცულად „ოდნე ქართველი“ მანდილოსანი, თავის ცხოვრების სიხარულში გაღალღებული, თამამად ხდიდა თითქო ბოდღში ქართველსა ქალსა და მოგიძღვნიდა ალტაცებით იმის მაგიერ წითელ-ყვავილს!

ნინო ყიფიანისა



* * *

(გუბღენი ან. ყ-ს)

სევდა, წუხილი, ცრემლი, ნაღველი მარად თან დამდევს, აღარ მშორდება; ბედისა რისხვა, ჭეჭა, ჭუხილი თანდათან უფრო მიახლოვდება. მაგრამ მაინც მწამს ძმთა სიყვარული, ოდეს შენი ხმა გულში ჩამწვდება. ოჰ, რომ ვიცოდებ, ეგ წმინდა გული თანასაგარძობლად შეგენახება, დღეს დეღამიწა, უღაბნოდ ქმნილი, ისევ წაღკოტად დამესახება.

კატო მიქელაძე



ჩემი ცრემლები

შუა ღამისას, როდესაც ბადრი მთვარე თილისმთან სხივებით მოჰფენს ქვეყნად ოქროს სიზმრებს—შენ წამოსწევები ყვავილიან მოლზე და დააქვრდები ცის ტატნობს.

აციმციმ-აკაკამღებიან ლაყვარდ ცაზე ვარსკვლავნი და მოჰქსოვენ სიყვარულის ზღაპარს...

გულ-აღმა მწოლარი თვალს არ მოაშორებ მათ...

შენ მოგენატრება ურიცხვი თვალები, რომ მარადის ლაყვარდს უმზერდენ...

შენ მოისმენ, შენ იხილავ ვარსკვლოვან ზღაპარს და ერთხელაც არ იკითხავ, თუ რა ძალაა, რაც ასე აშშვენიერებს ცივსა და უგრძნობელს ცის ურდოს...

ერთხელაც არ დაჰფიქრდები იმაზე, რომ ვინ იცის, იქნებ ის ვარსკვლავნი შეყვარებულთა ცრემლებია, ცაზე თეთრ ყვავილებად გადაშლილნი.

ერთხელაც არ იკითხავ, რომ ავერ ის ვარსკვლავი, სხვებისაგან რომ განცალკევებულია, თრთოლით რად დაგციმციმებს მარტოდ-მარტო შენ...

რას გეჭურჩულება გაფითრებული...

არ იკითხავ იმიტომ, რომ არ გასურს ის-მინო მისი ღაღადისი...

ღიად, არ გასურს ისმინო, თორემ განა იმ ვარსკვლავში ჩემს ობოლს ცრემლს არ იცნობდი?..

II

მე შეგაეშხე

მშვენიერო, ეგრე განცვიფრებით რომ შეჰყურებ ფირუზოვან ცას და სტკებეი ვარსკლოვან სიზმრებით—ის მე ამოვჰქარგე, ის წუხელ მე შევესთხე ძილ-გამკრთაღმა...

სულის სილაღე, ბულბულის ტია-ტიას რომ ხარბად ისმენ და მისღვე მისს ჰანგებს სამარადისო ნეტარ სიზმრებისკენ, ის წუხელ მე ვასწავლე, მე ვასწავლე ქვითინითა და ვალაღებით...

სულისდგამო, ნარგიზისავით ნაკადში რომ იყურები და გაოცებს სხივოსანი შენი

ლიმილი—მე შეგაფეხე... ჩემმა ოცნებამ გაგაკლდებოდა, გაგაზღაპროსნა... მოქებითინე ჰანგებდალ დალეულმა ჩემმა გულმა მოგებრა ის იერი, რომელიც გარიყრაჟის სილაჯლაჟით აშუქოსნებულ ტყის ასულთაც არ ეხმანებოდათ...

ჩემი, ჩემი ტანჯვის ბრალია, რომ ზღვის ზვირთების მუსიკაში შენი სახლის ქება გაიხმის...

სულაო ჩემო, მშვენიერება მხოლოდ ტანჯვისგან იბადება.

შენ-კი არ გესმის ესა.

არ გესმის და არც გასურს გაიგო.

ღ. თურღოსპირელი



დელი, ქაქებს ნუ ჩაიხვამ

—

დელა ჩემო, ზღვამ წაგართვა ჩემი თავი... ზღვამ მომიხბლა, დამიმონა, მშობელ დელად გადამექცა...

მან შეიცნო ჩემი სული, მან შეიტკბო ჩემი ვნება...

ზღვამ გულ-მკერდი გადამიხსნა, თვის ფრთებ ქვეშე შემიფარა—მომცა ბინა!..

დელა ჩემო! ზღვამ რომ თვისთან დამიბარა—რად გამიშვი?.. რად მიჩეი?!. რად არ გწადა, რომ გაგეგო ჩემი სულის მისწრაფება?..

როცა მშობელს შევლას გთხოვდი,—რას ფიქრობდა შენი გული, როს დამიხზე მშობლის მკერდი —მშობლიური ალერსითა?!

ნუ თუ, დელი, ვერ შესძელი შეილის სულისკვეთებისთვის აგერთმია აზრი-ალღო?!

დელა ჩემო! ზღვას რად მიეცე ჩემი თავი?!. როცა თვისკენ მიმიხმობდა—ტალღათ ჩქერით მიყოდა, რად მიქნევიდ ხელს „წაღღო“?!

ახლა რადად იტრემღებში, რად იხოკავ გამხმარ ლაწვებში?!

შენი ცრემლის ღაბა-ღუბი აქ მომესმის იღუმალად, ფრთა-მალ სიოს ჩუმი კენესით...

მე აქა ვგრძნობ შენს ნაღვლობას—სტირი ჩემს თავს, შენგნით შორს მყოფს,—შეიძლება სამუდამოდ განშორებულს...

რას გიშველის აწ წუხილი, გულსაკლავი ტირილ-ტყება?..

მეც მინდა, რომ ეგ ცრემლები

ამოგიშრო ჩემის კოცნით, მაგრამ ზღვა რომ აღარ მიშეგეს მომიხბლავი თვისის ოცნით!..

ზღვამ თვისაკენ გადმიხირა, სული ჩემი შეიერთა... სულმა იცნო თვისი სული, გულმა იგრძნო თვისი ვნება...

... ამბობქრებულ ტალღათ გიჟური გოგმანი,—ეს ხომ ჩემი სულის ვნებიურ მისწრაფებათ გოგმანია!

როცა ზღვასთან წასასვლელად ვემზადებოდი, ვიდექე გზასა, ოდეს ნაცნობ-მეგობრებსა უკანასკნელ საღამს ვთხოვდი, რად არ მოხველ.., არ მიხილე?.. რად მიჰფარდი მაღალ მთასა?!. სხვებთან ერთად გამარჯვება არ მისურვე, გზა რად არ დამილოცე?!

მით უმეტეს შენ, მშობელსა, სხვებზე მეტი ვალი გეღო, რომ შეილისთვის ლოცვა წრფელი,—მშობლიური წაგემძღვარა?!...

— იქნება მაშინ ჩემი გული შენთვის აღარ იფიქრებდა?!

ახლა ჩივილ-მწუხარება რადას გარგებს,—რას გიშველის?.. ახლა რაღა დროის არის, ცრემლის გუნდრუკს რომ მაჰკურებ?!

— სული ზღვასა ემონება... ლეში სადაც უნდა იყოს;—თუნდა აქა და თუნდ შენთანა.

ნეტა ოდეს დაგიბრუნდე, განდგომილი, ურჩი შეილი?!. ნეტა ოდეს ამოგიშრო მტრალ დელას ეგ ცრემლები?!

...მე ვერ შეესძლება... შენ-კი, დელი, სცადე ბელი... იქნებ გული გადმიხირო... გამოჰგლიჯო... კარგად იცი, კაცის გული ხშირად ცვალებადი არი...

დამკვიდრებში ვერას გეტყვი...

მხოლოდ ძაძებს ნუ ჩაიცვამ საბოლოოვა სატრლადა...

მხოლოდ ამას შემოგიფიქვო: ნუ მიგულეშ შორს მყოფს მკვდრად, ნურვის სხვასა ნუ იშვილებ ჩემი გულის საკლავად!

— ნურვის თავსა ნუ შეაწყენ,—
— მიგინევენ არარადა!..

ვ. ალღოშვილი



ვალენტინ სეროვი

(ესკიზი)



1865—1911 წ.

3. სეროვი ნახატი რუბინისა

ვერძის მსატრამბში მენსრამეტე სუეუენის მეორე ნახევარი დირს-მესხანიშნავი ხანას, ვინაიდან ამ დროს იდეური რეალიზმი შეიფლავა მსატრულად. ზარიზში დაბადებულის ახალ მიმართულების ძლიერმა ტალღამ მოაღწია რუსეთს მხოლოდ ოცი წლის შემდეგ. ვალენტინ სეროვი წარმომადგენელია სწორედ ამ მსატრულ რეალიზმის, რომელსაც ეწოდება ისტორიაში „ხელოვნების სიმართლე“. იგი ლევიტანთან ერთად უღამაზესი ზოეტის მსატრათა შორის წარსულ სუეუენის მეორე ნახევრისა. მისი ხელოვნება თითქმის დიდ ხანს სასურველი გამობრუნებაა, წმინდა, გამაგრილებელი დილას სუღის შემავებუბელს წვიმა-ჭუნდიან დამის შემდეგ.

ჯერ ისეგ შემუღლებული ჭრილობას სეროვისი სიველილი მათთვის, ვისაც უეგრდა იგი დრმად; ამიტომაც ძლიან მძიმე საქმეა მისი შემოქმედების დირსეულად დაფავება, ჩუენება გავლენის და ადგილის რუსულ ხელოვნების ბედ-ადამბში მისი, ვისი ფერადების აკორდები ვერ დახსნათება სიტუებით „ღამაზი, მშეენარი, მომხიბლავი“.

ზირეული ნაბიჯი ხელოვნებაში სეროვმა გადასდგა მიუნხენში ყოფიის დროს 1874 წ. მსატრარ კვანავის სულმღვანულობით, იმ კვანავის, რომელსაც დიდი სახელი ჭქონდა მოხეველი ოფორ-

ტებით და შერთულს ხელოვნებაში. დეამ მიაცქია უურადლება ბავშვის არა-ჩვეულებრივ ტატრებავს ხელოვნებით, წაიყვნა შვილი ზარიზში და მიაზარა შეკირდად ახლო შეგობარს, კარკად ცნობელს მსატრარს რუბინს. „ის ურჩეენა მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, ამბობს ქართული ანდაზა, და თუ ეს უდავო სიმართლეა, მამ ბედნიერია რუსეთის ხელოვნება, რადგან შეკირდმა დაჩრიდა ოსატრტი. თვით „ოახე მრისხნეს“ შემოქმედი იხსენიებს არა-ჩვეულებრივ ბავშვს, როგორც მომავალ ჭერაკლს ხელოვნებაში. მოსლოდნელი იყო, რომ რუბინი, ეს თავის დროზე დმერთი ხელოვნებაში, იმდენად დაიზერობდა შეკირდს თავისი ნიჭით, რომ შეჭქნინდა მასში მონას. მაგრამ, საბედნიეროდ, სეროვი-შეკირდი როდი იყო ესეთი სუსტი ქმნილება: თავისუფლების მოტრფივლე მიდიოდა იგი თავის გზით, სუმად და დაეინებით გავლავდა თავისი. თავდაზირეულად რუბინს უჭქრდა, როგორც შეუღლომელ ზანს, ძიარად აფავებდა მის გავუთილებს, მაგრამ განთავისუფლების ლტოლვამ მიიყვნა იმ წერტილამდე, რომ ბოლოს ოსატრს და შეკირდს აღარ ესმოდათ ერთმანეთის; მეტრე „იდა რუბინშტეინის“ სურათმა



იდა რუბინშტეინი

იქამდე ტარდებდა რუბინი, რომ უკანსკელი კარგა ხანს ატარებდა ჯიბეში მის სურათს, შეხვედრილს ნანობებს უჩვენებდა და უწველოდ იღანდებოდა.

სეროვი ძენწი იყო ლაზარავში, ამიტომაც მის შემუღლებობას ხელოვნების შესახებ ფარდას ჭხდის მხოლოდ „ნაშრომი“, —დარწენილი მსატრარის შემდეგ უმდიდრესი ტალანი ზორტრეტია, ეტრუღათა

და ესეიზთა. აქ ეწდა მოვნახთო უტევი ძალა მისი ძლიერის სულისა, მისი წმიდა სიტყვა ხელაფხების შესახებ.

მსატრობაში აზრი აუცილებლად უნდა იყვეს მსატრული. ლიტერატურული შინაარსი სეროვის მიერ არ იქმნა უარყოფილი. მის „ბეტრუში“ და „ნადირობაში“ შეგვიძლიან გამოვინახოთ შინაარსი გადაჭარბებით, ზორტრეტებზე რომ ღაზარაგინ მეტია, მხოლოდ ეს შინაარსი მისთვის იმდენადაა უუნარადსა, რამდენად შემოქმედების მსატრულ აზრის ზირობას შეადგენს.

ობიექტური მოვლენის შინაარსი სეროვისთვის განურჩეველია; უუნარადსაღობა მხოლოდ ის, თუ როგორ მსატრულ შინაარსი გამოხატავს ხელაფხანი ამ მოვლენაში და როგორ კანში ჩამოასხავს. თანამედროვე სასტანო ხელაფხების ლიტერატურაში სოფევის ის შეხედულობა, რომ ნიჭიერმა მსახიობმა უნდა ერთნაირად შეისრულოს ყველაგვარი როლი; ადარსსიკობის სიტყვა „ამღოუ“. ესეთივე აზრი ესდამდებელია მსატრობაშიც. ამ სამართლიან შეხედულებით ავგზოვსკი ხელაფხანია მხოლოდ მაშინ, როდესაც გვიხატავს ზღვის სურათებს, მის მდიდურ გზინვა-ღუმოლს, და უბრალო ხელაფხანია სხვა დროს. სეროვი კი, რასაც მოჭკილებს ხელს, ერთგვარად ძლიერი ხელაფხანია იგი ისტორიისა: ფსიხოლოგი, ზორტრეტისტი, ზეზოფიისტი და დეკორატული ესკიზების შემომქმედი, და თუ უმოთგერესდა ზორტრეტის ხელაფხანს, ეს შედეგია ამ შეხედულობისა, რომელიც ჰქონდა მას წმიდა ხელაფხების ამოცანების შესახებ. მხოლოდ ამ თვალსაზრისით ახსენებს ის თათქოს უცნურე ნიაზი, რომელიც უხვად გამოიჩინა სეროვმა ცხოველებისადმი: ხელაფხანი კორთიანი გვიამბობს, რომ სეროვმა მთელი საფიქრული კატარსი მხოლოდ ერთ თხის ხატვაში; სამზღვარ კარედ დიად უნიკოსის რიხარდ განერის ციციქს ტანმა მოახდინა ბავშვ-სეროვზე ნაკლები შობაქლილება; ვიდრე მისმა ვებერთელა ძაღლმა და ნამეტნავად ხოხობმა. სეროვის აზრით, მსატრულ სიღამაზის ძიება შეიძლება მოხდეს სხვა და სხვა გზით, მხოლოდ მას აქვს მარტო ერთი ძიარი—მორჩილება ბუნებისადმი, რომელიც მუდმივი მასწავლებელია; მუდმივი მიტომი, რომ მისი ლექსიკონი მრავალფეროვანია და ვერ ჩამოისხმევა ვერც ერთს ყალიბში. ზარად სწავლა, ზარად „შეუძლებლობა“, რადგან იქ, სადაც იყება „შეძლება“, თავს იჩენს სიდრევე, ისპობა გუფითადი ზატევი

დიად მასწავლებლისადმი—ბუნებისადმი.

როდესაც სეროვი ხატავდა სხესს, მის უვერად აღნიშნა დაწერილებით აღვლები როგორც თავისი, ისე მოდელისა. მხოლოდ ამ ზირობის დახმარებით, ჰიფოქრობა, არ იცვლება ურთიერთობა ღამიანის ნაწილთა შორის, ერთის მხრივ, და ღამიანის და ბუნების შორის, მეორეს მხრივ, რომ უუნარადსაღობა არა თუ სატეები, არამედ მათი ურთიერთობა.

ესეთი შეხედულობა აძილებდა სეროვის, საუცნოფო თვა-დაღობით მოჭკიციეო სხვათა შორის ზორტრეტის კომპოზიციის, რომელს უმორჩილებდა ნახტის ლოდიკას. მაგალითად, ვინემ დახატავდა ტურჩინისთვის ზორტრეტს, სეროვი დიდი ხანი თვალს ადევნებდა მას მუშაობის დროს, მისდევდა სენატში, რათა მოესმინა მისი მოხსენება; დააზარაკებდა, აცინებდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც გადასწევიტა, რომ კომპოზიციის შინაარსი შეადგენს— „საქმე გათავებულის საფით“, მიჭერ ხელი მუშაობას.

შეისრულების დროს, რასაკვირვებელია, სეროვი-სივის ფერადებს ჰქონდა ზორეული მინიშნულობა. მას უვერად უფრო ღევა ფერები, რადგან საერთოდ ამ ფერების მომხრეა ის, ვისაც უვერს მისაღებები; ღევა ფერების მეზობლობა-კი ანთებს და ათამაშებს მისარულებს.

როდესაც ესტატის სურათით აღტაცებაში მოსული ჩეზარე შეგვითხებოდა ღეონარდოს, ძვირბასო მესსურე, ამხსენით ერთხელ კიდევ ფერადეფის შეზავება, მასწავლებელი გაიმეორებდა თავის რჩევას, მაგრამ საკმარისი იყო, შეკვირდს შეგზამბინა ფერადობი, რომ დარწმუნებულყო შრომის ამბობი. ესეც უნდა იყოს: შაბლიანი და ნიჭი—დაუძიებელი შტრები არიან. აი სეროვისათვისაც რომ გუკიბთხო ტეხნიკაზე, ის გიამსურებდათ: იქ, სადაც ვხვდავ ღაქას, მე ვაკეუბ ღაქას; სადაც ვხვდავ წერტილს, ვნიშნავ წერტილს; სადაც ვხვდავ ხაზს, მე უსყამ ხაზს; რაც ბნელია—ბნელი უნდა იყვეს, რაც ნათელია—ნათელი.

ესეთი იყო ვაფლენტინ სეროვი. მისთვის ხელაფხანს როდი იყო მისარულ და ავად მრომაღ. სეროვის ხელაფხანს იყო მტანჯავი, რადგან მას უვერად ხელაფხანა. ერთსა და ამავე დროს სეროვი იყო მტლანე ესტატი და მძიებელი შეგორდი, ამიტომაც ბერში სდებოდა. მეერ რა, რომ სდებოდა? სამკვირრად, ფერადების კეთილ-შობლებმა,

სიღამისი გრძნობა, ერთის სიტყვით, ის, რაც აკლდა კარგად ცნობილს რეზინს, შეადგენდა სეროვის განსხვავებულ თვისებას. უკვლავ ეს მოვალედ გვხვდის ჩვენ თავად ავხილეთ და მოწიწებით მივსცეთ სეროვს ხელფანების ტასარში ის ადგილი, რომელიც აქამდინ ეკუთვნის რეზინს. რეზინი — სიმწესრო მისხვერძლია გაუგებრობის, რომელიც სუფევდა რესულ სსოვადლოებაში შეტყობაშეტყ სუფუნის მიწურულს; რეზინი ცუდი მოაზრება: მან მიიღო სიღამისზედ აკადემიის თაბშირის აბეზარი და იწამა ის, რასაც ჩანჩინებდა ესტეტის სხსსო სსხელმსღვანელს. რეზინი ძალფანია, მკვრამ, თუმცა უცნურა, მასში ბუფრი რამ მდებარეულა. მისი ზორტრეტების მდგომარეობა მდებარეულია. ზეტურბურგის ალექსანდრე III შეტყუების დარბაზში, რომელიც საესეა რეზინის ამგვარი ზორტრეტებით, თავს აბეზარებს მყოფრებულს, განფიფრებულს შათი ერთგვარობით, და სტოვებს მის სსოვანში მხოლოდ ნახტების ჭრულ გულებს და ზურგებს. სულ სხვა სეროვის ნიჭი: მისგან შექმნილი სსხე უფრო და უფრო მიკაზიდავს, რადგან შიგ გულის სიღრმეში, სსმალაში ჩაკახელებს ხელფანია, თითქმის თვალწინ ძვირფასი შიშობლის სსხეაო, რომელთანაც გავიტარებია შენი ტეპობი ბავშვობა.

დავ. კილონაიძე

საზრანგებობის ლირიკა

(პოლიუს ვერლენიდან)

კოვლი სონეტი

ჰო, ჭეშმარიტად უსსადგრა ჩემი ტეკილი, ან რუბლური შეიძლება როგორც მე ვარ დღეს? ვეგებო, ვით მხეტი და არავის ესმის კვილი, მყოფრებულთა შებნალება ვის გასსენდეს!..

ბიბლიის ზევაი, ჯოჯოხეთი, შავი ღონდინი, სულს ხუთავს ნისლი, სსურთადა და ცაზის ერთობა; ვებერთელახი შეკუმშულან ერთად სსხელები, ჭრეკვეულ მოხუცო, გეტანება, სესტარათ სხდამა!..

[ხავს წარსული კვიის, კნავის, მოსთქვამს, მორბის, მოფრინადის ფერ ნისლში და ტადახში, სსადც Sohus შეფობს თან მასთან: indeeds all ringhts haöds!

ოჰ, ჭეშმარიტად უკვლავფერი შეტად შვევაეა, ძალა არა მაქვს მოვითმინო ესდენ წაშეა... შავო ქალაქო! ცენტლი ციდან როს წაკვება?..

ა. აბიძი

სახალსო თეატრის მოღვაწენი



სოსო რომანიშვილი

(მისი 10 წ. საცენო მოღვაწეობის გამო)

სწორედ ათი წელიწადია, რაც სოსო რომანიშვილი სახალხო სახლში მუშაობს. ჩვენი საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს მას, როგორც ერთს საუკეთესო მუშაკს სახალხო სახლისათ. ს. რომანიშვილს არა ერთჯერ დაუტკბია საზოგადოება თავის მოხდენილის თამაშითა. განსაკუთრებული ამბულია სოსოს არა სწამს. იგი ყველა როლს კისრულობს და საუცხოვრადაც ასრულებს, როგორც კომიკურს აგრეთვე რეზონორებს თუ სხვ. ავილოთ, მავალითად, მისი ხელოვნური აღსრულება ტ. რამიშვილის პიესა „შეშლილი“ სიღვას როლში. აქ ის შეუღარებელია. ბევრი სხვა როლიც გაუპიროვნებია დიდის ხელოვნებით. 22 აპრილს იგი დღესასწაულობს თავის ათი წლის სცენაზე მოღვაწეობის შესრულებას. დარწმუნებული ვართ, მუდამ მისი მოსიყვარული ხალხი და პატივისმცემელი საზოგადოება ღირსეულად დააჯილდოვებს მართლაც და ღირსეულს წყნარს მუშაკს ჩვენი ქართული სახალხო სცენისათ.

სან-განი

გამაუხულის ბირად

ზურმუხტის ფერად აბიზინებულს, ვეწვიე მდღოს გულ-მედიანი; ვუსმენდი წყაროს აქვითინებულს, ტყე შრილობდა ხუჭუქ-თმანია...

საღლა, შორს, საღლა წამილო ფიქრმა, ეგვრძენ მაღალი ბედნიერება, და გავიგონე ნეტარი ცის ზმა: „სიცოცხლე არის მშვენიერება!..“

დ. ახვლედიანისა.

ლიქილი

თაყვანისცემა

შენ ხარ ღილა, შენ ხარ მწუხრი,
შენი მსგავსი რა ჰყავს უფალს?!
ჩემს გულისთქმას ბოაკილს უყრი,
მონადა მხლი თავისუფალს.

მარად შენ გღვეს, თავს გვევლება.
მოხიბლული ფიქრი მგონსის,
ფხიზელს ფეხქვეშ გვიარდება,
მძინარეს კი გკოცნის, გკოცნის!..

მ ა რ ო

(ეუბლები მ. ჩ-ს)

შემოხედეთ, თუ ღმერთი გწამთ,
შემოხედეთ მაროსა,—
თუ სიტურფით ვარდს არა ჰგავს,
სისპეტაკით წყაროსა!

შეუბნდეთ! და მერე კი
ნუ ჰკითხავთ ჩემს გონებას,
თუ რატომ არ ჰათაკილობს ის
სათაკილო მონებას!

გულკეთილობა

მე არ მიყვარდა; მაგრამ, როს ვსცანი,
რომ მე იმისი „ხატი“ ცყოფილვარ,
გულკეთილობა გამოვიჩინე
და ერთხელ ძალზე გულში ჩაიყარ.
ოჰ, რომ შენც იყო ჩემებრ კეთილი,
ჩემს ვედრებასა გაიგონებდი, —
მოხვიდოდი და წყალობის ნიშნად
ლამაზ გულ-მკერდში ჩამიკონებდი!..

ურწმუნო ქალი

ვერ დეფარწმუნე, ვერ დეფარწმუნე,
თუმცა შეფიცე, ვგონებ, ასჯერა!
რა არ ეუთხარი, რა არა ვსცადე,
მაგრამ არ სჯერა, მაინც არ სჯერა!
ურწმუნო თომა მამინ დარწმუნდა,
როცა ნამსკვალ გვერდს შეხზო ხელი;
ურწმუნო ქალი რით დეფარწმუნო,
როცა მე ბედშავს გვერდი მაქვს მთელი?!

კ. კიქინაძე



სინათლე

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 5)

მოქმედება მესამე

სურათი II

კლდე-ღრენი, ზარ-დამკვი ბუნება. ყოველისფერი გა-
დამხმარა და გაცეითლებულა. შორს მოსჩანს ნახევრად
დანგრეული და გადამწვარი სოფელი, სცენაზე ხალხი,
კაცები და ქალები ძაქებში. სვედა და მგლოვიარება
ეტყობათ, — ჯგუფ-ჯგუფად სხედან. წინ პირველი და
მეორე გლეხი.

პირგ. გლეხი. ნეტავი დღეს საიდან გა-
მოჰყოფს თავს ჩვენი დამღუპველი?

მეორე გლ. საიდანაც უნდა გამოჰყოფს
თავი, მაინც კეთილს არ დაგვაყრის...

პირგ. გლ. ეჰ, ჩემს მტერს არ ვუსურ-
ვებ იმას, რაც საწყალ მეფეს მოეღოს...

მეორე გლ. ხუმრობა საქმე კი არ არის,
ერთად ერთი შვილი უნდა გასწიროს...

პირგ. გლ. კაცო, მართალსა ლაპარაკო-
ბენ... გველეთშაპს დღე! თვის მეფის შვილი
მოუთხოვიაო...

მეორე გლ. მაშა კაცო... გუშინ ვამოუ-
ცხადებია .. გლეხების ხორცი მომწყინდა. ახ-
ლა შენი შვილისა მინდაო... გამოგზავნე: თუ
გამოიქნო ჩემი გამოცხადები, ხომ შენი იღბა-
ლიო, თუ არა და ნურას დამემღერებო — გა-
დაფელაბამო...

პირგ. გლ. ეჰი, პა, პა, პა... საიდან რა
გაჩნდა ეს ოხერი გველეშაპი, ადამიანო?

მეორე გლ. ეხ, ძმავო, რაც ის მეფის
შვილი ავთანდილი მოიტაცეს, ჩვენს სამეფოს
კეთილი აღარა უნახავს-რა... შიმშილი, შავი
ჭირი, მტრისგან დარბევა... სულ ზედი-ზედ
მოჰყვა... ნახევარი სამეფო ამოწყდა და შველა
კი არსაიდანა სჩანს.

პირგ. გლ. ეგა თქვი, ადამიანო, და... აქ-
ნობამდისინ მარტო ჩვენ გლეხ-კაცობას სჯამდა
ე ტიალი გველეშაპი... ახლა კი დიდებულე-
ბსაც მიჰყო ხელი...

მეორე გლ. შე კაი კაცო, მარტო შავს
პურს ვინ დასჯერდება, ზოგჯერ თეთრსაც
მოითხოვს...

პირგ. გლ. სამართლიანობა კია... მთელს
სამეფოს შემოესია გველეშაპი და მარტო ჩვენ
რად უნდა გვეცეთ პასუხი?..

მეორე გლ. შენც ერთი, დამიწყებ რა-
ღებსაც... ჩვენი ზურგი უფრო მაგარია, ჩვენ
სწორედ იმისთვის ვართ გაჩენილი, რომ ქვეყ-
ნის ტვირთი ვზილოთ. (შემოდის ავთანდილი სელ-
ში შანდლით)

ავთანდ. ქრისტიან ხალხს გაუმარჯოს...
კეთილი იყოს თქვენი აქ შეყრა...

პირგ. გლ. გაგიმარჯოს! საიდან მოდი-
ხარ, ან ვის ეძებ აქ?..

ავთანდ. მთელი სოფელი დავიარე—ქაქა-

ნება არ ისმის, თითქოს მტერი დასცემია და
სულ გაუნადგურებიაო.. ნახნაგ-ნათესა არსადა
სჩანს... ბაღ-ვენახები სულ გადამხმარა... ქვეყა-
ნას თითქოს მკვდრის სულარა ვადაჰფარებია...
რა მოხდა, რა დაგემართათ? თუ მტერი დაგე-
ცათ, იმდენად ლაჩრები და მხდალები როგორ
იყავით, რომ ვერ მოიგერიეთ?.. რამ მოგიყვა-
ნათ და შეგყარათ ამ კლდე-ღრეში!

პირგ. გლ. შენ, ჯაბუკო, ძაან დიდგუ-
ლათა ხარ... ჯერ ულვაშიც არ ამოგსელია და



ისე ლაპარაკობ თითქოს, თუ მოინდობე, ქვე-
ყანას გადაატრილებ,

მეორე გლ. ერთი კი დინახოს გველე-
შაპი და მგონია შიშით გული გაუსქედეს...

ავთანდ. გველეშაპი?.. გველეშაპს აქ რა
უნდა?..

პირგ. გლ. აი, ცოტა მოიცადე და ნა-
ხაე...

მეორე გლ. საიდან მოდიხარ, რომ არ
იცი რა უბედურება დატრიალდა ჩვენს სამე-
ფოში?

ავთანდ. სინათლის ქვეყნიდან მოვდივარ.

პირგ. გლ. შორს არის ეგ ქვეყანა? იქაც
იცი გველეშაპი?..

ავთანდ. ცხრა მთას იქით არის სინათლის

ქვეყანა... გველეშაპს იქ რა უნდა. მუღამ სი-
ნათლეა... არც ერთ ბნელეთის მცხოვრებს იქ
აღგილი და ძალა არა აქვს... სინათლის ქვეყა-
ნამ არ იცის შიშშილი, ძალმომრეობა, უსა-
მართლობა, ომი, შფოთი... თანსწორობა,
ძმობა და თავისუფლება სუფევს იქ... იქ გვე-
ლეშაპი ვერას გახდება...

მეორე გლ. ე—ეხ, ძაან ქვეყანა ყოფი-
ლა, თუ კი არა სტყუო... ეგ შანდალი რადაა...
ლიტანიის გამართვას თუ აპირებ?..

ავთანდ. ეს შანდალი სინათლის ქვეყნი-
დან არის... იგი მაჩვენებელია სწორე გზისა.
იგი დამამხობია ყოველგვარ სიბნელისა, სიბო-
როტისა...

პირგ. გლ. ჰე—ე, ძაან შანდალი ყოფი-

ლა... მაშ, გველემშაპსაც მოერევი, შენ როგორც გატყობ...

ავთანდ. თუ გაქირდა, იმისაც მოვერევი... (საღხა მოქქნდება) თქვენა ხართ ლაზრები, თორემ გველემშაპს ბევრი კი არა უნდა-რა... (ისმის სმება: „ვინა გდია, რომ დავცინის კიდევ! გაეთრიოს აქედან!“)

პირე. გლ. მოიცა, ერთი ამ დაღონებულ გულზე ცოტა გაგვაშხიარულოს მინც, შორიდან მოდის იქნებ კარგი რამ გვიამბოს... ცოტათი გავერთობით მინც... (ისმის საუფრას სმა)

მეორე გლ. იქით, იქით ხალხნო... ადგილი! მეფე და დედოფალი მობძანდებიან...

ავთ. კარგია... სწორედ მეფის ნახვა მინდოდა...

პირე. გლ. მეფეს შენთვის თუ სცაღიან...

ავთ. რატომაც არა... ეგები რა საჭირო საქმე მაქვს...

მეორე გლ. რის საქმე, ბიჭო?... დღეს გველემშაპმა დაიბარა მეფე, შენი შვილი მომიყვანეო... აქნობამდისინ ყოველ დღე ოცი ქალი და კაცი მოპყვანდათ გველემშათან... გველაშაბი სამ გამოცანას იტყუდა და თუ ვერ გამოიწვინებდნენ, ამ მოყვანილ ქალ-ვაჟს შთანთქამდა. ესე იყო ოთხი წელიწადი.

ავთ. ნუ თუ ერთიც ვერაფერ აღმოჩნდა, გამოცანები გამოეცნო?

პირე. გლ. შენმა თავის მზემ, შენ თუ გამოიწვინებ... ქვეყნის ბრძენნი და ნასწავლნი მოდიოდნენ, ვერაფერ გამოიცილა და შენ რომელი სოლომონ ბრძენი აღმოჩნდი?..

მეორე გლ. დღეს მეფის შვილი მოითხოვა... თუ მეგვიდრე ჩვენი გამოიცილობს გამოცანებს, გველემშაპი აიყრება და მოგვშორდება: თუ არა და ვაი ჩვენს თავს... მეფის შვილს დავკარგავთ... (შემოდანს მეფე, დედოფალი, გარჯასხა, სხასლარი, ვეზირი და აზაფა. უკვლანს ჩაქუში აზანს, მწუხარებით სავსენი. საღხი დუმილად ადგაღს უთიმას მეფეს).

მეფე. დადგა, ხალხო აღსასრულის დღე... უბედურება არ გვეშორდება... უზენაესმა აგვაშორა მოწყალე თვალი... ალბად შევეცოდეთ რამე...

ხალხი. ღმერთი მინც მოწყალეა. იქნებ გვეშველოს რამე...

ავთ. (წარმოგება წინ) დიდებული მეფე!..

რად ეძლევი მაგრ სასოწარკვეთილებას?... რატომ დაგიკარგავს სრულიად იმედი? მაგრად დაუზღვი მტერს, გრწამდეს სინათლის ძალა და გინდ მთელი ჯოჯოხეთი ამხედრდეს შენს წინააღმდეგ, ვერას გახდებ...
მეფე. ვინ არის ეს ქაბუჯო?... თითქოს ჩვენებურს არ უნდა ჰგავდეს... სახე როგორღაც უბრწყინავს...

პირე. გლ. დიდებული მეფე! ე ბაღლი იძახის სინათლის ქვეყნიდანა ვარო... ძაან ტრაბახობს: გველემშაპს მოვერევიო...

მეფე. გამოგონია სინათლის ქვეყანა, მაგრამ მისი კი არა მეჭერა-რა... თვლით არ მიხანავ... და ვერც დავიჯერებ...

ავთ. სცადე, მეფე, მისი სიძლიერე და დარწმუნდები... აი ქვესტელის ნაშობი დღეს შენს ვაჟს მსხვერპლად ითხოვს... შემომხედე მე... სახით მგონია შენს შვილს ვგვევარ... მოდი, შეეცადოთ ტანსაცმელი და მე წარუდგები გველემშაპს... თუ გამოვიცანი მისი სამი გამოცანა, —ხომ კარგი... ეგ ჩემი იღბალი და თუ არა, —ეგაც ჩემი ბედი. დეე, მე ვიყვე მსხვერპლი...

